სამშაბათი 1919 წ. იანვრის 21 № 15
წელიწადი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. იანვრის 21 № 15
ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გევორქ გრიგორის ძე და სერგო სტეფანეს ძე ავაქოვები, გრიგოლ და იაკობ სერგოს ძენი გრიქულოვების მაღაზია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას ამხანაგისა და ფირმის მეთაურის

გევორქ გრიგოლის ძე
ავაქოვის

გარდაცვალებას, 14 იანვარს დილის 11 საათზე. პანაშვიდს გადიხდიან 20 იანვარს საღ. 6 საათზე. გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან ზარაბატის ქუჩა № 24. სამშაბათს 21 იანვარს დილის 11 საათზე ეჩმიაძინის წმ. გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება ხოჯევანქის სასაფლაოზე. დასაფლავების დღეს სავაჭრო და საწყობი დაიკეტება. 2 2

ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა შვილებით, აუწყებს, რომ ოთხშაბათს, 22 იანვარს, გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი სოფ. არბოს წმ. გიორგის ეკლესიაში, უდროვოდ დაღუპულ, დაუვიწყარის და უძვირფასესის შვილის, ქართულ სამთო ბატარეის პოდპორუჩიკ, თბილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტის

ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე
მაკარაშვილის

სასაფლაოზე.
ამავე დღეს, ნაშუადღევის 2 ს., გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1—2033—1

ოთხშაბათს, 22 იანვარს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, წლის თავზე, გადახდილ იქნება პანაშვიდი, სად. შამქორში უდროვოდ დაღუპულის ქართ. სამთო ბატარეის პოდპ., თბილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტის

ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე მაკარაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც დიდის მწუხარებით აუწყებს გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული ოჯახით.
პანაშვიდის დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. 1—2033—1

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო"

1919 წელ. || წელიწადი მეხუთე || 1919 წელ.

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

რომანი „ტრფობა წამებული" რომანი

გაზეთის ფასი:

წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო". ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

საკოლონიზაციო პაპი-

იმ გზებს, რომელსაც ქართველი გლეხობა ინსტიქტიურად ეძებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეიდან საარჩევნო სიები გამოფენილი იქნება საუბნო კომისიებში. სიებში შესწორების შეტანა შეიძლება მხოლოდ 19, 20, 21, 22 და 23 იანვარს.

## მოქალაქენო! არ დაკარგოთ თქვენი ხმა.

შესწორეთ სიები ქალაქის და დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის.

# უკანასკნელი ცნობები

18 იანვარს ბათუმიდან ინგლისელთა გემით კონსტანტინოპოლის გზით მარსელში და იქიდან პარიზს გაემგზავრა საქ. საზავო დელეგაცია ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

ქართველ დელეგაციასთან ერთად ევროპაში გაემგზავრნენ ადერბეჯანის, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის დელეგაციები.

გერმანიის დამფუძნებელ კრებას 8 თებერვალს იწვევენ.

თანახმად შეიდემანის მიერ წარმოთქმულ სიტყვისა მოჰკლეს კარლოს ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

ბერლინის ცენტრალურ ნაწილს გარს ჯარი შემოერტყა.

მარშალი ფოში ტრირში ჩავიდა

ეზენში გაფიცვებმა ფართო ხასიათი მიიღო.

პერუს სატახტო ქალაქ ლიმაში 2000 მუშა გაიფიცა.

---

საერთო სახელმწიფოებრივი მიზნებით, არამედ კლასობრივ-პროლეტარული ინტერესებით.

ეს დიდი უკულმართობაა. ჩამორთმეული მიწები ეკუთვნის არა მარტო ბოგანო გლეხობას, არამედ მთელს ქართველ ერს. ამიტომ საადგილმამულო ფონდის ლიკვიდაციაც ისე უნდა მოხდეს, რომ მთელმა ერმა მაქსიმალური სარგებლობა ნახოს. ამისთვის კი სხვათა შორის საჭიროა, რომ დაარსდეს დიდი საკოლონიზაციო კაპიტალი, რომლის შემწეობით ქართველი გლეხი დიდს რასიულ ბრძოლაში ახალს პოზიციებს დაიპყრობს.

# სამაჰმადიანო საქართველო და დამფუძ. კრება

დამფუძნებელი კრების კამპანია იწყება.

საქართველოს ყოველი კუთხე ჩაბმულია არჩევნებში და 14 თებერვალს ქართველმა ერმა უნდა გამოხატოს თავისი უზენაესი ნება.

საქართველოს სიხარული ვერ იქნება სრული, თუ რომელიმე ნაწილი იქნება მოწყვეტილი მისი სხეულიდან და მისი ბედნიერების დღეს რომელიმე კუთხემ ვერ სთქვა თავისი სიტყვა.

საქართველოს სამფეროვანი დროშის ქვეშ ეხლა თავს იკრეფს არა მარტო საქრისტიანო საქართველო... მის მფარველობის ქვეშ შემოვიდა ძველი მესხეთი და ახლო მომავალში უნდა შემოვიდეს აჭარა-ქობულეთი და შავშეთ-ერუშეთი.

მეტად მწვავე იყო ბრძანებლობა ოსმალეთის ამ მხარეში და [illegible]

დია ეს ტანჯვა მოძმე საქრისტიანო საქართველოს და მონობისაგან განთავისუფლება საქართველოს ორივე ნაწილისთვის თანაბრად სასიხარულოა. საქართველო იკრეფს დაკარგულ ნაწილებს და ამ ნაწილებში ქართველი მაჰმადიანობა, რჩეული ძმებით.

პირველი სიტყვა რომლითაც საქართველოს მთავრობამ მიჰმართა სამაჰმადიანო საქართველოს, იყო რომ, „სამაჰმადიანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას“.

ეს არის სიტყვა, რომელმაც უდიდესი კმაყოფილება უნდა მიანიჭოს ყოველ სამშობლოს მოყვარულ მაჰმადიან ქართველთ.—ეს არის მთელი საქართველოს სურვილი და მთავრობის სიტყვა შესრულებული იქნება. მაჰმადიან ქართველობას მიეცემა საშუალება თვითვე განაგოს თავისი მხარე და საკუთარი ზნე-ჩვეულების მიხედვით თითონ გამოსცეს კანონები და თავისი სურვილისამებრ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება. მაგრამ ამ დაპირებას შესრულება უნდა და ეს თვით სამაჰმადიანო საქართველოზედ არის დამყარებული. მათ მიენიჭებათ ავტონომია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოექცევიან.

ამისთვის მათი ერთსულოვნობაა საჭირო და თავის მოძმე ქრისტიან ქართველებთან ერთად მთლიანი საქართველოს ერთგული დაცვა.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს წესი საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და ამ კრებაში მაჰმადიან ქართველობის ხმაც

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბათომის ოლქებს მიეცემა ეს საშუალება და ახალქალაქის მაჰმადიან ქართველობასთან ერთად იგიც შეუერთებს თავის ხმას მთელს ქართველობას.

სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი მომავალ არჩევნებში გამოდის საკუთარი სიით და ამ სიაში წარმოდგენილი იქნება მთელი სამაჰმადიანო საქართველო. ქართველ პოლიტიკურ პარტიების ვალია სავსებით მხარი დაუჭირონ ამ სიას. სამაჰმადინო საქართველოში არ შეიტანონ პარტიული ბრძოლის სიმწვავე, რაც თან სდევს ყოველივე საარჩევნო კომპანიას.

სამაჰმადიანო საქართველოში ამ სიას არავითარი კონკურენცია არ უნდა ჰქონდეს და ამ მხარეში ჩვენი პარტიული დროშები დაბლა დაუშვათ, რომ შეძლება მივცეთ მაჰმადიან ქართველობას თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში.

# პრესსა

### „ხალი კლდის“ აგრარული პროგრამა.

„სალი კლდე“ იხტიბარს არ იტეხს. გაზეთს რომ დაუჯერო, დამოუკიდებელ ნაციონალისტებს პარტიაც აქვთ, პროგრამაც და ტაქტიკაც.

გაზეთი აგრარულ კანონ-პროექტზე ლაპარაკობს და დასძენს:

„ზოგიერთი დებულებანი პირდაპირ გადმოწერილია ჩვენი პროგრამიდანაო“.

არ შეიძლება დაგვისახელოს გაზეთმა, რომელია მათი პროგრამა?

პირადათ ჩვენ მათი ასეთი პროგრამა არც გვინახავს, არც წაგვიკითხავს. ვნახეთ და წავიკითხეთ მათი ულტიმატუმები, სადაც ისინი მოითხოვდენ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას თავის საარჩევნო სიაში შეეტანა ისინი, რაზედაც მათ ერთხმად უარი მიიღეს კონფერენციისაგან. წავიკითხეთ აგრეთვე ისიც, რომ ამის შემდეგ „სალი კლდე“ აცხადებდა, ახლა კი ჩვენი საკუთარი პარტია უნდა დავაარსოთო, მაგრამ ეს იყო გუშინ წინ და თუ დამოუკიდებელმა ნაციონალისტებმა ორ დღეში მოასწრეს აგრარულ პროგრამის დაწერა, ამაზე ჩვენ არაფერი ვიცოდით.

მაგრამ აი რა არის აქ გასაკვირველი.

რა ჭკუიანი ყოფილა ჩვენი მინისტრი მიწათ-მოქმედებისა და რა ხიჭიერად ჰქონია მას შპიონაჟის საკითხი დაყენებული, რომ ეს პროგრამა მას უკვე მოუპარია დამოუკიდებელ ნა-

როდის მოსწყინდებათ ბატონ დამოუკიდებელ ნაციონალისტებს სხვისი პროგრამების პოტინი. ნუ-თუ მართლა ისე ძნელია საკუთარ პროგრამის დაწერა, რომ აქამდის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას ებღაუჭებიან?

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ იმისთანა პიროვნებისთვის, როგორიც არის მაგალითად ბატონი რევაზ გაბაშვილი, პროგრამის დაწერა ერთი გადაფურთხებაა.

ამიტომ ჩვენ ვთხოვთ ბატონ რევაზ გაბაშვილს—მოიღეთ მოწყალება, ბატონო რევაზ და გადმოაფურთხეთ.

### „არაჩი“ და საქართველოს თავისუფლება

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ნაცვლად დაშნაკცაკანურ „ორიზონის“ „ნორ-ორიზონის“ და „აშხატავორისა“ თბილისში გამოდის იმავ დაშნაკცაკანების „არაჩი“.

„არაჩ“-ს სტილიც, ლოღიკაც და ზნეობაც დაშნაკცაკანური აქვს. არც ომმა, არც ზავმა დაშნაკცაკანებს არაფერი არ ასწავლა. ისინი უფრო მეტად ეხვევიან რევოლუციონერების ქურქში და სურთ დაგვარწმუნონ იმაში, რომ საქართველოს მისი მთავრობის პოლიტიკა კი არ უმზადებს მტკიცე სახელმწიფოებრივ მომავალს,—ამ მომავალს მისცემს მას მხოლოდ დაშნაკცაკანების მოღვაწეობა საქართველოში.

აი რასა სწერს „არაჩი“.

დეე ილაპარაკონ და იჭორაონ, დეე სახელი გაგვიტეხონ. ჩვენ, როგორც პატიოსანი რევოლუციონერები და ყოველთვის ერთგულნი ჩვენი ჭეშმარიტი დემოკრატიული და სოციალისტური პრინციპებისა, ამის შემდეგაც ჩვენის გზით ვივლით. ვესწრაფვით რა ყველა ერების სოციალ-პოლიტიკურ განთავისუფლებას, კერძოთ ჩვენ ყოველთვის ვიმუშავებთ სომხის, ქართველი და თათრის ხალხის გასანთავისუფლებლად.

ასე სწერენ „პატიოსანი რევოლიუციონერები“ „არაჩიდან“. დაშნაკელებ ბი მოკლებულნი არიან იმ თვისებას, რასაც არა მარტო „პატიოსან რევოლუციონერების“, არამედ საზოგადოთ პატიოსან ადამიანების ენაზე საერთაშორისო ზრდილობა ჰქვიან.

ქართველ ხალხს არასოდეს არ უთხოვნია დაშნაკელებისთვის იბრძოლონ ქართველი ხალხის გასანთავისუფლებლად. ამისათვის მათ არც ძალა აქვთ, არც პატიოსნება შესწევთ. მათი საქმეა მასსიური ღალატი, მოულოდნელად ომის გამოცხდება, ხიდების აფე-

დაშნაკცაკანურ პოლიტიკის წყალობით უკანასკნელ ოცდა ათი წლის განმავლობაში გაწყდა მილიონზე მეტი სომეხი, დაირბა და გადასახლდა სომხეთიდან ამდენივე. და როდესაც ეხლა დაშნაკცაკანები ჩვენა გვთავაზობენ ამ პოლიტიკას და ამ პოლიტიკით სურთ გააბედნიერონ საქართველო, საქართველო მათ ან მთლად სულელებით დასახლებული ქვეყანა ჰგონიათ, ან ფიქრობენ, რომ ისტორიას თავის ფურცლებზე არაფერი არ შეაქვს მოსაგონებლად.

საქართველოში სიტყვა „დაშნაკცაკანი“ სინონიმია მოღალატისა და გაიძვერასი და ტყუილად ისულელებენ თავს დაშნაკცაკანები, თუ ჰგონიათ, რომ მათ „კეთილ ზრახვებს“ საქართველოში თუნდა ერთი ღამის მეხრე დაიჯერებს.

„დაშნაკცაკანების“ კოკა უკვე გატყდა.

# რაუტი ინგლისელების პატივსაცემად

დღეს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ინგლისის სარდლობის პატივსაცემლად სამინისტროს ბინაზედ დიდ რაუტს ჰმართავს.

რაუტისათვის მორთულია მთელი შენობა.

ვახშამი გაიმართება მუხის დარბაზში; ცისფერ დარბაზში—ეროვნული კონცერტია. რაუტზედ მოწვეულია მთავრობის მიერ მთელი კაბინეტი და გენერალიტეტი

# საქართველოს დელეგაცია

18 იანვარს ბათომიდან ინგლისელების გემით კონსტანტინოპოლის გზით მარსელში და იქიდან პარიზს გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია ნიკოლოზ ჩხეიძის მეთაურობით. საქართველოს დელეგაციასთან ერთად ამავე გემით გაემგზავრა სომხეთის, ადერბეიჯანის და ჩრდილო კავკასიის დელეგაციები.

# მოქალაქენო!

ბოროტმოქმედებმა საარჩევნო ბიუროში 10,000 მოქალაქის ბარათი დახიეს. შეიძლება თქვენი სახელიც ამოშლილია. მიდით საარჩევნო უბანში შეიტანეთ თქვენი სახელი და გვარი საარჩევნო სიაში.

# ქრონიკა

მელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მუსიკოსები და მხატვრები.

**დენიკინის მოხალისეთა ჯარი.** ინგლისელების ცნობით თბილისში დგება მოხალისეთა კორპუსი, რომელიც წავა საქართველოს სამხედრო გზით დენიკინის მოხალისეთა ჯართან შესაერთებლად.

**ინგლისის მისიაში.** თბილისში მყოფ ინგლისის მისიის სამხედრო პოლიტიკურ განყოფილების გამგედ დანიშნულია გენერალი უოკერი, ხოლო სამოქალაქო-პოლიტიკურ განყოფილების გამგედ გენერალი ბიჩი. მათი თანაშემწეებად მაიორი ვემნოლი და მაიორი სანდერსი არიან.

**სადაო ადგილების რკინის გზა.** გზათა სამინისტროს წარმომადგენელი ლვამიჩავა, ინგლისის მისიასთან შეთანხმებით, 20 იანვრიდან, ნეიტრალურ ზონის რკინის გზის სადგურების საქ. რკინის გზათა გამგეობაში მიღებას ხეუდგა.

**სახაზინო ნივთების გაყიდვა.** სამტრედიიდან გვატყობინებენ, რომ თბილისიდან იქ ჩასულა რუსი პოლკოვნიკი ჩერნიევი, რომელსაც 350 ცალი სამხედრო კარგები ჩაუტანია გასასყიდად, მოუსწრია 52 ცალის გაყიდვა; რის შემდეგაც პოლკოვნიკ დადიანის განკარგულებით დაუპატიმრებიათ.

**ომის საჭიროებისათვის.** ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებამ საქართველოს მთავრობას ომის საჭიროებისათვის 50 ათასი მან. შესწირა.

**ქუთაისის ქართულ გიმნაზიის შუამდგომლობა.** ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგეობამ განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა. აღმოუჩინოს საშუალება გ. ზდანოვიჩის მამულის შესასყიდად.

**გამოცდები.** 1) აფთიაქის მოწაფის ხარისხის მისაღებად გამოცდები მოხდება თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში. 2) უმაღლეს დაწყებითი და დაბალი სკოლების მასწავლებლის ხარისხის მისაღებად—თბილისის საოსტატო სემინარიეში. 3) ახალი ენების მასწავლებლის ხარისხის მისაღებად სამინისტროსთან დაარსებულ კომისიაში.

**საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები.** საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები, სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგის გამგეობაში რჩება.

**„თეატრი და ცხოვრება“-ს** გამომცემელი იოსებ იმედაშვილი ბრძო-

განახლებული სიცოცხლე“. ჟურნალის ფასი წლიურად 25 მან. ხელის მომწერთ მიმართონ: თბილისში ბაზრის ქ. № 20 (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

**თბილის-ლონდონი.** ინდოევროპის ტელეგრაფი სამშაბათს 21 იანვრიდან დაიწყებს მუშაობას კალკუტის და ლონდონის შუა. ამავე დღიდან თბილისს საშუალება ეძლევა პირდაპირ მავთულით ლონდონთან მოლაპარაკებისა, რადგანაც ამ ტელეგრაფის ხაზი თეირან-თბილისზეა გამოყვანილი და თბილისში პირველ ხარისხის სადგური იმყოფება.

**ბაჟების შემოსავალი.** როგორც რესპუბლიკის საბაჟო უწყების ცნობებიდან სჩანს, წარსული წლის განმავლობაში ხაზინას საბაჟოებიდან სულ შემოსვლია დაახლოებით ექვსი მილიონი და რვაასი ათასი მანეთი. შემოსავლიანობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს თბილისის საბაჟოს, მეორე ფოთისას, მესამე სოხუმისას, შემდეგ სხვა საბაჟოები მისდევენ, ხოლო ყველაზე ნაკლებ შემოსავალს ოზურგეთისა და ანაკლიის საბაჟო იძლევა.

**გამოგონება.** უბრალო მუშა ა. ბოროვკომ გამოიგონა საუთოვო მანქანა, რომელიც სარეცხს სწურავს, უთოებს, კეცავს და ყუთში აწყობს.

**მაჰმადიან მასწავლებელთათვის.** მუსულმან მასწავლებელთათვის კურსების გახსნის შესახებ ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტრო მთავრობაში სათანადო მოხსენებას წარადგენს.

[illegible]

ნაწილი) 2,500 მან. ნივთეული წაიღეს.

**დეპეშები ქართულ ენაზე.** საქართველოს სახაზინო რკინის გზის ტელეგრაფის უფროსმა განკარგულება გასცა დროებით ქართულ ენაზე დეპეშების გზავნა შესწყვიტონ. მიზეზი ამისათვის საჭირო მანქანების უქონლობაა.

# პარტიული ცხოვრება.

## საარჩევნო მუშაობა

**დღეს, იანვრის 21-ს, საღამოს 6 საათზე, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია მეორე და მესამე სამილიციო უბნებში მცხოვრებ ეროვნულ-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების და უპარტიოთა საზოგადო კრება საქალაქო არჩევნების საქმეთა განსახილველად.**

**ასეთივე კრება პირველ სამილიციო უბანში შესდგება ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე, ოლღას ქ., № 52. სახლი მაჩაბლისა.**

# პროვინციის ცხოვრება

## თელავი

— 23 იანვარს ქალაქ თელავის დარბაზში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საღამო. მოხსენებას წაიკითხავს პარლამენტის წევრი რაფიელ ივანიცკი (რ. ინგილო).

—

## სიღნაღი.

— სიღნაღის ხმოსანთა არჩევნებისათვის ქალაქი გაყოფილია ხუთ საარჩევნო უბნად: 1. ქვემო ბაზარი, 2. წყრიახი, 3. მარტანი-მაღარო, 4. ჭოტორი და 5. ჭოტორ-ნუკრიანის კარები.

— ამას წინად გაძარცვეს ნასომხრის ყველაწმინდის ეკლესია. გაიტაცეს ყველა ნივთეული და ავეჯეულობა.

— ერობის გამგეობასთან მოეწყო ომარის დამხმარე კომიტეტი. უკვე შეაგროვა ნივთები და ფული.

— ქვემო ქედში საქონლის ჭირი გაჩნდა.

— ერობის გამგეობის წევრმა მ. მეტელაშვილმა და ინსტ. ლ. ხუციშვილმა დაათვალიერეს გურჯაანის რაიონის სასწავლებლები, რომლებიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფება.

## ბათუმი.

— ბათუმში 16 იანვარს ადგილობრივ მილიციას სათავეში ჩაუდგნენ ინ-

გლისელები. მილიცია შერეულია. ადგილობრივ მილიციონერებს ინგლისელი მილიციონერები ჰსწვრთნიან. ოლქის საკითხი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ჯარი კიდევ მოდის. მოვიდა გემი „ლორდი ნაჰსონ“, რომელმაც ჯარი და სამხედრო მასალა ჩამოიყვანა. ქალაქის არჩევნებისთვის აწერის დღეთ 20 იანვარია დანიშნული. ფოსტა ჯერ კიდევ მოუწყობელია. მხოლოდ რუსეთიდან მოსულ წერილებს არიგებენ. აღძრულია საკითხი ნატანებიდან წერილების გამოშვების შესახებ, სადაც ბევრი წერილია დაგროვებული. საჭიროა ამ კითხვის საჩქარო გადაწყვეტა ვისგანაც დამოკიდებულია. ინგლისის შტაბი ბათუმიდან თბილისში გადადის.

**საქართველოს დელეგაციის გამგზავრება საზავო კონფერენციაზე.**

საზავო კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა 17 იანვარს.

**ქართულ დრამატიულ დასის მოწვევა ინგლისელებისაგან.**

ბათუმში მყოფ ინგლისელებმა თბილისიდან, „ჰამლეტი“-ს წარმოსადგენად, ქართული დრამატიული დასი მოიწვიეს. დასს ბათომიდან საკუთარი მატარებელი გამოუგზავნეს.

## ფოთში.

— ფოთის საბაჟო დაწესებულებათა საგანგებო რევიზიამ აღმოაჩინა მექრთამეობა და სხვა უწესოება. მოსალოდნელია მოსამსახურეთა შტატში დიდი ცვლილებანი.

— ფოთისიდან მიიღებულია (ცნობა-[illegible]

# თბილისის მილიციის რევიზია.

[illegible]

საქართველოს პარლამენტის წევრნი: 1. ს. ჯიბლაძე, ანასტასიას ქუჩა 18, ტელ. 3—63. 2. ა. ჯაჯანაშვილი, გუნიბის ქუჩა, 54, რედაქცია „სახალხო საქმე“ ტელ. 12—29. 3. მთავრობის იურისკონსულტი ს. დ. ჯაფარიძე, იზმაილოვის ქუჩა 21. 4. დავითხანიანი, პეტრე დიდის ქუჩა 11. 5. თბილისის თვითმმართველობის წევრი გ. კონიაშვილი, ზუბალაშვილის ქუჩა 13, ტელ. 10—24, ან ქალაქის თვითმმართველობა ტელ. 14—50. 6. თბილისის სასამართლო პალატის ყოფილი პროკურორი ი. მ. დოლუხანოვი, პასკევიჩის ქუჩა 6, ტელ. 10. 7 თბილისის სასამართლოს პროკურორი მ. ტატიშვილი, ელისაბედის ქუჩა 65, ტელ.11—99. პროკურორის ამხანაგები: 5. კ. ო. მოძალევსკი, ფრეილინის ქუჩა 6, ტელ. 13—92, 9. დალევსკი, გუდოვიჩის ქუჩა 14, 10. დრაგნევიჩი, მუშტაიდის გადასახვევი 5, ტე. 8—28. კანდელაკი, ბელინსკის ქუჩა 10, ტელ. 12. ზელენინი, ტერგუკასოვის ქუჩა 10, ტელ. 88. 13. ნაფიცი ვექილი გოდერზიანი, ჩერქეზიშვილის ქუჩა 57, ტელ.13—84.

ყველა მოქალაქე და ის პირნი, რომელთაც აქვთ საჩივრები ქალაქის მილიციის უკანონო მოქმედების შესახებ, საქმისა და დამნაშავეთა დასჯის ინტერესებისთვის ვალდებულნი არიან განუცხადონ ზემო-დასახელებულ კომისიას რაც იციან მილიციის უკანონო მოქმედების შესახებ.

განცხადებები მიიღება წერილობით, სიტყვიერად, პირადად და ფოსტით, როგორც ბინაზე ზემო-აღნიშნულ მისამართებით, აგრეთვე მიიღება მორიგე წევრის მიერ კომისიის კანცელარიაში, რომელიც იმყოფება სასამართლოს დაწესებულებათა შენობის, სამოქალაქო დეპარტამენტის დარბაზში.

თბილისის სასამართლოს პალატის პროკურორი **გელაზარაშვილი.**

# ტარიფის გადიდება რკინის გზაზე

გზათა სამინისტრომ დაამზადა მინისტრთა საბჭოში წარსადგენათ მოხსენება რკინის გზებზე სამგზავრო და საბარგო ტარიფის გადიდების შესახებ. ამ მოხსენების მიხედვით დაუყოვნებლივ უნდა გადიდდეს ტარიფი კახეთისა და სახაზინო რკინის გზებზე შემდეგის რაოდნობით სამგზავრო ტარიფი: I კლასი რჩება უცვლელად. 700 პროცენტით მეტი, ვიდრე 1916 წელს, ხოლო მეორე კლასის ტარიფი იქნება სამი მეოთხედი პირველ კლ. ტარიფისა, მესამე კლასი ნახევარი პირველ კლასის ტარიფისა, და მეოთხე კლასი მეოთხედი პირველ კლასის ტარიფისა.

საბარგო (ბაგაჟი) ტარიფი უნდა გადიდდეს კახეთის რკინის გზაზე 100 პროცენტით, ხოლო სახაზინო გზებზე რჩება უცვლელათ.

სატვირთო ტარიფი გადიდდეს კახეთის რკინის გზაზე 300 პროცენტით არსებულთან შედარებით, ხოლო სახაზინო გზებზე ასი პროცენტით არსებულთან შედარებით. დამატებითი გადასახადი უნდა გადიდდეს 200 პრ. არსებულთან შედარებით, ხოლო საწყობ ადგილთა გადასახადები გადიდდეს 400 პროცენტით არსებულთან შედარებით.

შეღავათიანი ტარიფი, როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გაუქმდეს, მათ შორის სამხედრო და შემოხიზნულთა ტარიფებიც. ხოლო ძალაში დარჩეს შეღავათიანი ტარიფი მოწაფეთათვის.

# ტფილისის მოქალაქენო!

**სამი დღე დარჩა საარჩევნო სიების შესწორებისთვის. არ დაკარგოთ თქვენი უფლება! მიდით საარჩევნო უბანში და გაიგეთ ჩაწერილი ხართ თუ არა!**

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

19 იანვარი

**გერმანული პრესა.**

[illegible]

რომ უნდა შესდგეს კოალიციონური მთავრობა. მისი აზრით სოციალ-დემოკრატები უახლოვდებიან შემარჯვენეებს (?) სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის საკითხი თვალსაჩინო საკითხთაგანია. ეს საკითხი, როგორც საყურადღებო დამფუძნებელ კრებაზე დაისმება. სარწმუნოებრივი ცხოვრება არ უნდა დაირღვეს. ყოველი ღონის ძიებით ის დაიცავს ხალხთა ლიგას, სადაც გერმანიას სრული უფლება უნდა მიეცეს. დ-რ სოლფმა იმედი გამოსთქვა, რომ ვილსონის პროგრამის მიხედვით გერმანიას ახალშენების ნაწილი მაინც დაუბრუნდება.

**გერმანიის ფინანსიურ პოლიტიკისთვის.**

გერმანიის გაზეთები ჰკიცხავენ მოკავშირეთა მიერ 5 იანვარს წამოყენებულ ფინანსიურ პოლიტიკურ მოთხოვნილებას. გაზეთი „გერმანია“ სწერს რომ მოკავშირეთა მოთხოვნილება საშუალო საუკუნოების მდგომარეობას უბრუნებს გერმანიას.

**ჩეხები ბავარიაში.**

ჩეხებმა ბავარიის ტერიტორიასთან ბავარიის საზღვარი დაიჭირეს.

**ლიუქსემბურგის საფრანგეთთან შეერთება.**

გაზეთი „დებატი“ იუწყება, რომ პარტიამ, რომელმაც ლიუქსემბურგში რესპუბლიკა გამოაცხადა, გადასწყვიტა გაგზავნოს პარიზში ოფიციალური დელეგაცია და წინადადება მისცეს საფრანგეთს შემოიერთონ ლიუქსემბურგი.

**ლიბკნეხტი და როზა ლიუქსენბურგის სიკვდილი**

მიუხედავათ იმისა, რომ მასთან მყოფი პირები საჩქაროთ მოქმედებდენ, ხალხიდან ვიღაცამ მაინც მოასწრო ლიბკნეხტისთვის თავში დაერტყა. ავტომობილმა იმის მაგიერ, რომ გაევლო ხალხით სავსე ქუჩებზე, გარტენის ქუჩით გაიარა. გზაზე მანქანა გაუფუჭდათ და ამან დიდიხნის შეჩერება გამოიწვია. რადგან ლიბკნეხტი მსუბუქად დაიჭრა, ამიტომ მისმა გამყოლ დარაჯმა მოსთხოვა წასულიყო ფეხით, სანამ მეორე ავტომობილს ნახავდენ. 50 ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ლიბკნეხტი გაიქცა. მას რამდენიმეჯერ გაუმეორეს შეჩერებულიყო, მაგრამ ის განაგრძობდა გაქცევას. მაშინ მას აუტეხეს სროლა. ტყვია ზურგში მოხვდა და ლიბკნეხტი, ალბად მკვდარი დაეცა იმისთვის, რომ შეძლება ჰქონოდათ ედენის სასტუმროდან გაეგზავნათ როზა ლიუქსენბურგი, გამოაცხადეს, რომ ის უკვე დაპატიმრებულია. ამის შემდეგ ბრბო დაიშალა. ავტომობილი, რომელიც წავიდა,—მეორე გზით დაბრუნდა როზა ლიუქსენბურგის წასაყვანად. ავტომობილი რამდენიმე ჯარისკაცით მოშორდა სასტუმროს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მოგროვდა ბრბო, რომელმაც შესძლო როზა ლიუქსემბურგთან მიახლოვება. მას ბრბოდან ვიღაცამ დაარტყა და ის უგრძნობლად დაეცა ავტომობილში. ამის შემდეგ ავტომობილი გაქანდა მაქსიმალურ სისწრაფით. ხიდზე შოფერს მოსთხოვეს გაჩერებულიყო. რადგან ბერლინის ხიდების კანტროლი ჯერ კიდევ ძალაშია და ხიდებს დარაჯები იცავენ და აჩერებენ ხალხს იარაღის ჩამოსართმევათ, შოფერმა იფიქრა, რომ დარაჯებთან აქვს საქმე და გაჩერდა. ერთს წუთში ბრბო ავტომობილს მისცვივდა და გაიტაცა იქიდან როზა ლიუქსემბურგი. გამოძიებამ, რომელიც მაშინვე დაინიშნა, ვერ გაიგო, თუ რა დაემართა მას. შიშობენ, რომ როზა ლიუქსემბურგი მოკლულია.

მთავრობამ დანიშნა გამოძიება და დროებით დაატუსაღა ის ორი პირი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მოკვლა.

თუმც როზა ლიუქსემბურგის სხეული ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩენიათ, მაგრამ რუსხა ფიქრობს რომ როზა ლიუქსემბურგი ისე როგორც ლიბკნეხტი, მკვდარია გაზეთები სასტიკათ ჰკიცხავენ დატყვევებულ როზა ლიუქსემბურგის მიმართ ბრბოს მოქმედებას მემარჯვენე მიმართულების გაზეთი [illegible]

[illegible]

როზა ლიუქსემბურგი.

რკინის გზის და ხიდების აფეთქება [illegible]

15 იანვარს [illegible]

[illegible]

# საქართველოს პარლამენტში

## 17 იანვრის სხდომა.

**თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი.**

(დასასრული)

**მომხსენებელის სიტყვა.**

ბატონებო სანამდე ამ კანონპროექტის არსებითად განხილვას შეუდგებოდეთ, მე საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ იმ უთანხმოების შესახებ, რომელმაც თავი იჩინა ამ კანონპროექტი განხილვის დროს აგრარულ კომისიაში. პირველი მოსაზრება, რომელიც წამოყენებული იქნა ამ კანონპროექტის შესახებ ეს იყო წინადადება ორი ფრაქციისა, რომელნიც თხოულობდნენ, რომ ეს საკითხი გადაეჭრა დამფუძნებელ კრებას. აგრარულ კომისიამ გადასწყვიტა მაინც პროექტის განხილვა; შემდეგ შემოვიდა მეორე წინადადება პროექტი არსებითად მიუღებელიაო. როდესაც მუხლობრივ განხილვას შეუდექით პროექტისას, მივიღეთ განცხადება ეროვნულ დემოკრატებისა და ესერებისა რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას პროექტის მუხლობრივ განხილვაშიო (სპ. კედია: „დამოუკიდებელთაგან).

საჭიროდ ვთვლი განვაცხადო, რომ არსებითად ეს მთავარი დებულებანი ამ პროექტის, მიწის კერძო საკუთრებად დარიგება და მისი სასყიდლით მიცემა, განხილული იყო ზაფხულშივე და მაშინაც ზოგიერთი ფრაქციები წინააღმდეგნი იყვნენ ამ დებულებისა და გვპირდებოდნენ, რომ განსაკუთრებულ კანონპროექტს წარმოვადგენთ ამ საკითხის შესახებო. მაგრამ აქნობამდის აგრარულ კომისიას არავითარი პროექტი არ მიუღია და მის განკარგულებაში იყო მხოლოდ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი.

ეს კანონ-პროექტი დიდი ხანია მუშავდებოდა სამინისტროს მიერ, მისი მთავარი დებულებანი მიწის კერძო საკუთრებათ, და სასყიდლით მიცემა ყველა კარგად იცოდა.

აგრარული საკითხი ჯერ სრულიად არ გვაქვს გადაჭრილი, ჩვენ გვქონდა 17 დეკემბრის ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული დეკრეტი და სეიმის 7 მარტის კანონი, რომელიც დამტკიცებულ და დადასტურებულ იქმნა პარლამენტის მიერ. 17 დეკემბრის დეკრეტი არ სწყვეტს მიწის საკითხს. ეს არის მხოლოდ დეკლარაცია რომ ხალხი მიწას მიიღებსო. ამ დეკრეტში არ იყო განსაზღვრული ნორმა იმ მიწებისა, რომელნიც დარჩებოდათ მემამულეებს, სეიმში აგრარულ რეფორმა უფრო კონკრეტული ხასიათი მიიღო, სეიმმა დაადგინა ყველა მიწები ნორმას ზევით ჩამოერთმევათ მემამულეებს, ნორმა კი ასეთი იყო: უტოვებდნენ მემამულეებს პირველ კატეგორიის კულტურულ მეურნეობის წარმოებისათვის 7 დესეტინა და მეორე კატეგორიის მიწებს სახნავს 15 დესეტინას, ან და მესამე კატეგორიის მიწებს საძოვარს 40 დესეტინას, ეს დატოვებული მიწები დიდ ნორმათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ეს აიხსნება იმ მდგომარეობით, რომელიც არსებობდა სეიმში, სადაც ორი-მესამედი მემამულეთა წარმომადგენელნი იყვნენ; ნორმას ზევით მიწები უკვე ჩამორთმეულია, მაგრამ გლეხობა ამით არ კმაყოფილდება; სეიმის გამოცემულ კანონში ნათქვამია: მიწები ჩამოერთმევათ მემამულეებს და გადავა სახელმწიფო ფონდშიო. იბადება კითხვა, რა წესით უნდა იყოს განაწილებული ჩამორთმეული მიწები. კომისიის უმრავლესობა ჰფიქრობს, რომ შეუძლებელია კითხვის ისე გადაწყვეტა, რომ ყურადღება არ მიექცეს ეკონომიურ მხარეს ჩვენი მეურნეობის განვითარებისას და უნდა განვაცხადოთ, რომ შეუძლებელია გავატაროთ მიწათმფლობელობის სხვა ფორმა გარდა კერძო საკუთრებისა. შეუძლებელია, დავაკანონოთ ისეთი ფორმა, რომელიც ხელს შეუშლის ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობაც ხელს უწყობს წვრილ კულტურულ მეურნეობასაც მისი საარსებო ინტერესები არ მოითხოვენ, რომ არსებობდეს მსხვილი მიწათმფლობელობა. გლეხი არ მოისურვებს მიწადმფლობელობის სხვა ფორმას არა იმიტომ, რომ ამის შესახებ აგიტაციას ეწევიან, არამედ გლეხებმა კარგად იციან, რომ ეკონომიური განვითარების პირობები მოითხოვენ მიწის კერძო საკუთრებათ გაცემას შეხედულება გლეხკაცისა, რომ მიწა მათ კერძო საკუთრებას შეადგენს მისაღებია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც და არ უნდა გადაველობოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას; კერძო [illegible]

დესო. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ რომ კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს დიდ მუშაობას, დიდ ხარჯებს. მიწების ჩამორთმევის დროს სახელმწიფომ ხარჯები გასწია, ამ კანონ-პროექტის განხორციელებასაც საკმაო ფული დასჭირდება; აგრეთვე ჩამორთმეულ მამულებს აწევს ბანკების ვალები და ოდნავაც ჩვენ კაპიტალის ექსპროპრიაცია არ დაგვიკანონებია „სახელმწიფო ვალდებულია იკისროს ბანკის ვალებიც აგრარულ კითხვის გადაჭრა არ მდგომარეობს მარტო მიწების დარიგებაში, ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ მეურნეობის აყვავებას. საჭიროა არხების გაყვანა, ჭაობების დაშრობა. ამას კი დიდი თანხა ფული დასჭირდება რომელიც ანაზღაურებულ უნდა იქნეს. სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა რომ ძლიერი იყოს, მაშინ შეგვეძლებოდა ამ ხარჯების დაფარვა აგრეთვე ცხადია ყველასთვის, რომ გლეხკაცობას აქვს საკმაო ქაღალდის ფული და იგინი შესძლებენ მიწების შეძენას. ის ფასები, რომლებიც გლეხებს გადახდება არ იქნება არც ისეთი დიდი, რომელიც გამოიწვევს ხალხში აღშფოთებას. თუ წინათ გლეხი მემამულეს სასარგებლოთ იხდიდა მოსავლის ერთი-მეოთხედს. და თუ დღეს საადგილ-მამულო კომიტეტი ართმევს გლეხს მოსავლის ერთ-მეათედს დესეტინაზე.—რომლის ღირებულებაც უდრის რამოდენიმე ათას მანეთს. მიწის ღირებულების გადაიხდიდა მოსავლის სახით. გლეხი ფასის ერთ დროულ გადახდის შემდეგ სრულიად თავისუფალი იქნება და მიწა მის კუთვნაში იქნება. მიწას, ფას ადებს მიწათ მოქმედების სამინისტრო ადგილობრივ თვითმართველობათა შეთანხმებით და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თვითმართველობებში შედიან თვით მიწის მუშები, ცხადია რომ არავითარ უკმაყოფილებას არ ექნება ადგილი. ამ კანონპროექტს განახორციელებს მიწათ მოქმედების სამინისტრო შეთანხმებით სამაზრო ერობებიან იმ კუთხეებში სადაც ჯერ კიდევ ერობები არ გვაქვს იქ პროექტის განხორციელებას ადგილობრივი საადგილ მამულო განყოფილებანი შეუდგეს აი მთავარი დებულებანი იმ კანონ-პროექტისა, რომელიც წარმოდგენილ იყო აგრარულ კომისიაში. ამ კანონ-პროექ. არ არის აღნიშნული ფრიად მნიშვნელოვანი კითხვა. ეს არის კითხვა იმ კატეგორიათა შესახებ, რომელთაც მიწა ფაქტიურად გამოიყიდეს, მაგრამ იურიდიულათ დაკანონებულ არ არის. მაგალითად ხიზნები. ახალციხის მაზრის მიწის მფლობელები.

ხიზნები მიწას ფლობდენ საშვილიშვილოდ, მათ მიწები ეჭირათ როგორც თავიანთი საკუთრება. 1917 წ, ხიზანთა კატეგორიები მიწის მესაკუთრეებათ გამოცხადდნენ. მომრიგებელ მოსამართლეთ უნდა შეედგინათ აქტები მათი მიწის საკუთრებისა მაგრამ იგი არ იყო შედგენილი; აგრარულ კომისიას აქვს დამზადებული კანონი, რომელიც დასამტკიცებლად იქნება წარმოდგენილი აქ. მათ მიწები კერძო საკუთრებათ, დარჩებათ და უფასოთ მიეცემა იგი.

მომხსენებელი კითხულობს კანონპროექტს.

§ 1.

მიწები სახელმწიფო ფონდიდან გადაცემულ იქნება კერძო საკუთრებათ სოფლელთათვის იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ამ კანონის მეორე მუხლში.

§ 2.

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არ განაწილდება იმის მეტი მიწა, რაც აღნიშნულია ამიერ-კავკასიის კომისარიატის 16 დეკემბრის 1917 წლის დეკრეტის მეხუთე მუხლში და ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 2 მაისის კანონში და არც ის მიწები, რომლებიც დანიშნულია მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის.

§ 3.

მიწები ეძლევათ საკუთრებათ უმამულო და მცირე მამულიან სოფლელთ, რომელთა უმთავრეს საარსებო წყაროს სოფლის სამეურნეო შრომა შეადგენს.

**შენიშვნა:** 1917 წლის 1 მარტიდან დაარსებულ ქალაქების მცხოვრებთ, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემო აღნიშნულ მესამე მუხლის მოთხოვნილებებს, არ ეკრძალებათ „ნადელის“ საკუთრათ მიღება.

§ 4.

თუ რამდენიმე პირი, რომელთაგან თითოეულს უფლება აქვს ცალკე, „ნადელის“ მიღებისა, წერილობით განაცხადებს სურვილს მათ მიერ კუთვნილ მიწების საერთო საკუთრებათ გადაცემისას, ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას.

§ 5.

თუ სოფლის საზოგადოება ან ცალკე სოფელი, რომლის მცხოვრებთა შორის განსაზღვრული რაოდენობა მიწისა უნდა დანაწილებულ იქნას, დაადგენს ყველა სრულ წლოვანთა ორი მესამედი ხმის უმეტესობით განაჩენს, რომ ეს მიწა მას საზოგადო საკუთრებათ გადაეცეს, ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას. მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს საზოგადოება ან სოფელი წარუდგენს სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო საცა ეს არ არის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას თავის დადგენილებას, მიწის ამნაირი წესით გადაცემისას.

§ 6.

საბალახო მიწები საერთო საკუთრებათ გადაეცემა სოფლის საზოგადოებებს ან და სოფლებს.

§ 7.

სოფლის მცხოვრებთ მიწები კომლობით გადაეცემა ისეთი ზომით, რომ მიცემული მიწა კომლის წინანდელ უძრავ ქონებასთან ერთად, არ აღემატებოდეს იმ ნორმებს, რომლებიც აღნიშნულია კერძო მესაკუთრეთათვის მიწების ჩამორთმევის დროს ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის მეორე მუხლში. ამ ფარგლებში მიწების გადაცემას წარმოებს იმ წესის მიხედვით, რომ მიწა გადაეცეს უმთავრესად იმ კომლს, რომელიც თავიდანვე თავის შრომას მას ახმარდა და ყოველს ჯარს შეძლება ჰქონდეს თავისი წილით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა.

§ 8.

აგრარულ რეფორმის ამ კანონის ძალით გატარება ევალება სამიწათმოქმედო სამინისტროს, რომლის ადგილობრივ ორგანოებათ ამ შემთხვევაში ირიცხება:

ა) სამაზრო საერობო გამგეობანი, რომლებთანაც გადადის უფლება და მოვალეობა სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობებისა, ბ) სამაზრო ერობები, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობანი იმ მაზრებში სადაც საერობო თვითმართველობები ჯერ კიდევ არ არის და გ) სარაიონი კომისიები.

§ 9.

სამიწათ-მოქმედო მინისტრის განკარგულებით, თითოეული მაზრა იყოფა აგრარულ რაიონებათ. თითოეულ რაიონში არსდება სარაიონო კომისია 3—5 პირისაგან შემდგარი, ამორჩეული სარაიონო თათბირის მიერ. სარაიონო თათბირი, რომელიც შესდგება ამ რაიონის საერობო ხმოსნებისაგან და სოფლების მიერ არჩეულ წარმომადგენელთან (ორ-ორი კაცი თითო სოფლისაგან) იკრიბება საერობო გამგეობის მოწვევით, რომლის ერთი წევრი კრებას თავმჯდომარეობს. იმ მაზრებში, საცა საერობო ხმოსნები არ ჩეული არ არის, სარაიონო თათბირი დგება ზემო აღნიშნულ სოფელთა წარმომადგენლებისაგან და საადგილმამულო გამგეობის წარმომადგენელთაგან საერობო ხმოსანთა რაოდენობის რიცხვით მიღებულს ამ რაიონისათვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირები იმართება სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობის მიერ, რომლის წევრი თავმჯდომარეობს ამ კრებას.

**შენიშვნა:** თითოეულ სარაიონო კომისიაში არის მდივანი და მიწის მზომელი მიწათმოქმების მინისტრის მიერ დანიშნული განსაზღვრულის ჯამაგირით.

§ 10.

საქართველოს მიწის ფონდი, რომელიც უნდა ადგილობრივ მცხორებთ გადაეცეს მაზრებს, ხოლო თითოეულ მაზრაში კი თითოეულ რაიონს სამიწადმოქმედო მინისტრი უნაწილებს. რაიონისათვის განსაზღვრული მიწის ფონდი სარაიონო კომისიის მიერ უნაწილდება სოფლის საზოგადოებებს, სოფლებს და იმ პირთ, რომელთაც მიწა უნდა გადაეცეს.

§ 11.

ის პირი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს „ნადელი“ უცხადებს თავის სურვილს სარაიონო კომისიას, რისთვისაც იგი ვალდებულია კომისიას ერთდროულად წარმოუდგინოს ცნობები მის ხელში მყოფ მიწის ზომისა, მამულის ყოველგვარი დარგის აღნიშვნით. პირი, რომელიც ამ შემთხვევაში კომისიას თავის უძრავ ქონების შესახებ ცრუ ცნობებს გადასცემს, ისჯება ციხეში დამწყვდევით ერთი თვიდან ერთ წლამდი, და ამას გარდა ჰკარგავს უფლებას „ნადელის“ ჩამორთმევა იგი სახელმწიფოს სასარგებლოდ.

§ 12.

სარაიონო კომისიის მოვალეობას შეადგენს თითოეულ მიწის მიღების მსურველის უძრავი ქონება შეამოწმოს გამოიკვლიოს იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც უნდა მიიღონ მიწა, და მოთხოვნილებათა მიწის ფონდთან შეფარდებით ამ რაიონში, დაანაწილოს მიწის ფონდი იმ წესით, როგორც ნაჩვენებია ამ კანონის მე-3-7 მუხლებში.

§ 13.

რაიონის კომისია ამ რაიონის საზღვრებში აწყობს კომისიებს სასოფლო საზოგადოებებში და სოფლებში 3—5 კაცისაგან შემდგართ, რომელნიც არჩეულ იქნებიან სასოფლო ყრილობათა მიერ.

თითოეული სოფლის საზოგადოების კომისიას ურდგენს თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებისათვის დანიშნულ საადგილ-მამულო ფონდის სოფელთა შორის განაწილების შესახებ. ხოლო სოფლის კომისია ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა შორის მიწის განაწილების შესახებ.

§ 14.

როცა სარაიონო კომისია რომელიც განსაზღვრავს, რომელი „ნადელი“ უნდა გადაეცეს სასოფლო საზოგადოებებს ან სოფელს საერთო საკუთრებათ ან და კერძო პირთ კერძო საკუთრებათ, შეადგენს აქტს კომისიის ყველა წევრების ხელის მოწერით როდესაც „ნადელის“ მიმღები საზოგადოება, სოფელი თუ კერძო პირი, ხაზინის კვიტანციას წარმოადგენს აქტს დასამტკიცებლად სამაზრო საერობო გამგეობას, მხოლოდ სადაც უკანასკნელი არ არის სამიწათ-მოქმედო გამგეობას.

§ 15.

დაინტერესებულ საზოგადოებათ, სოფლებთ და კერძო პირთ შეუძლიათ სარაიონო კომისიის განკარგულება ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებისა გაასაჩივრონ სამაზრო საერობო გამგეობაში, ხოლო სადაც ეგ არ იქნება, საადგილ-მამულო გამგეობაში. საჩივარი უნდა იქნეს განცხადებული სარაიონო კომისიაში, რომელიც თავისი განმარტებით სამი დღის განმავლობაში გადასცემს საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობისა.

§ 16.

სამაზრო საერობო თუ საადგილ-მამულო გამგეობას, მოისმენს რა განმარტებას დაინტერესებულ პირთა (თუ ისინი გამოცხადდნენ) გამოაქვს თავისი დადგენილება და ამის შემდეგ ან სადამტკიცებს „ნადელის“ შესახებ სარაიონო კომისიის მიერ წარდგენილ აქტს შეუსწორებლივ, ან შეასწორებს ან და დაუბრუნებს სარაონო კომისიას ახალ „სანადელო“ აქტის შესადგენად. გამგეობის მიერ დამტკიცებული სანადელო სიმტკიცის აქტის ძალა. (КРѢПОСТНОЙ) აქტის ასლი გადაეცემა „ნადელის“ მიმღებ სასოფლო საზოგადოებას ან კერძო პირთ, მეორე ასლი კი—წარედგინება უფროს ნოტარიუსს სიმტკიცის საქმეთა რეესტრში აღსანიშნავად.

§ 17.

მიწები, რომელნიც უნდა განაწილდეს მცხოვრებთა შორის, გაიყიდება დაწეულ შეღავათიან ფასებში იმ პირებზე, ვისაც უფლება აქვს „ნადელის“ მიღებისა, იმ ფასით, რომელითაც სახელმწიფომ უნდა დაფაროს ხარჯები, საჭიდო საადგილ-მამულო ბანკების ვალის გასასწორებლად მიწების მოსარწყავად და გასაშრობათ, გადასახლებ-გადმოსახლებისათვის, აგრარულ რეფორმების გასატარებლად მათთან დაკავშირებულ აუცილებელ საჭიროებათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და აგრეთვე განსაკუთრებულ ფონდის შესაქმნელად, რომელიც საჭირო მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მიწათ-მოქმედების მინისტრი ადგენს ყოველ რაიონში დესეტინაზე საშუალო ფასს ხუთას მანეთიდან ათას მანეთამდე. თითოეულ დესეტინის საშუალო ფასით აღინიშნება საერთო ჯამი, რომელიც ხვდება წილად თითოეულ რაიონს. ამ საერთო ჯამის მიხედვით, რაიონის კომისია ნიშნავს ფასს მიწის ღირსებისდა მიხედვით. მიწათმოქმედების მინისტრს აქვს უფლება დესეტინის საშვალო ფასი საბალახოებზე შეამციროს ორას მანეთამდე.

**შენიშვნა:** ქალაქის ახლო მდებარე და კულტურული მიწები და აგრეთვე ვენახები ბაზრის ფასით უნდა გაიყიდოს.

§ 18.

ყველა დაწესებულებანი და მოხელეები აღმოუჩენენ დახმარებას აგრარულ რეფორმების გამტარებელ ორგანოებს, ხოლო დაინტერესებული სოფლები და კერძო პირები ვალდებულნი არიან დაუთმონ ამ ორგანოებს განკარგულებაში გადასაზიდი საშუალებანი, ინსტრუმენტები და ყოველგვარი მასალა სამიჯნო ნიშნებისათვის.

§ 19.

„ნადელის“ მიმღებ პირს შეუძლია ამ კანონით მიღებულ მიწის გაყიდვა მხოლოდ სამაზრო საერობო გამგეობის ნებართვით, ამასთანავე თვით სამაზრო ერობას შეუძლია შეიძინოს გასაყიდი მიწა, გამყიდველისაგან გადახდილ ფასში და აგრეთვე იმ ფასის გადახდით, რაც გასაყიდ მამულის გაუმჯობესებისათვის ერგება პატრონს.

§ 20

ამ კანონების განსამარტავად მიწად მოქმედების მინისტრს უფლება აქვს ინსტრუქციათა გამოცემისა.

§ 21

ეს კანონი შედის ძალაში დღეიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

# დამფუძნებელ კრების არჩევნები

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს, პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ.**

14, 15 და 16 თებერვალს მოხდება საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნები.

გევალებათ: დაჩქარებით გააცნოთ თქვენს რაიონში მცხოვრებ ხალხსა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

გაურკვიეთ ყველას, რომ ყოველი ქართველი მოვალეა შეგნებული მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

აუხსენით ხალხს თუ როგორი შედეგები მოყვება სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების სოციალისტური პარტიების ხელში დარჩენას, თუ რამდენათ სახიფათო იქნება ეს სასოფლო მეურნეობისათვის, ვაჭრობა-მრეწველობისათვის და საერთოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთი-ერთობისათვის.

აუხსენით ხალხს, რომ უკეთუ ქართველი ხალხი შეგნებულ მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, არ მისცემს ხმას სოციალისტურ პარტიებს და ამოირჩევს იმათ ვინც იცავს ერის უმრავლესობის ინტერესებს, დამფუძნებელი კრება ჩამოართმევს მთავრობას სოციალისტურ პარტიებს და ჩააბარებს იმათ, ვისაც ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარება შეუძლიათ და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი აქვთ.

ყველა ქალაქების, მაზრებისა და სოფლის საზოგადებათა საარჩევნო კომისიებში უნდა დაინიშნოს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. პარტიის სამაზრო კომიტეტებს ევალებათ სასწრაფოდ გამოარკვიონ, თუ რომელს სოფლებში დაიდგმება საარჩევნო ყუთები და თითეულს ყუთს თავისი წარმომადგენელი მიუჩინონ.

მათ უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი, რომ არ იყოს ძალდატანება—ადგილობრივს ადმინისტრაციას არ აქვს უფლება საარჩევნო პროპაგანდის და აგიტაციის წარმოების უფლება. ამას მოითხოვს კანონი და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ეს დაიცვას.

კანონი მოითხოვს აგრეთვე, რომ საარჩევნო კომისიებმა თვითონვე დაურიგონ ბიულეტენები ამომრჩეველთ, ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა და თანამოაზრეებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ თითეულს ამომრჩეველს მიუვიდეს ჩვენი ბიულეტენი. უკეთუ ამომრჩეველთ დაურიგდა სხვა პარტიების ბიულეტენები და ჩვენი პარტიას კი არა, ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა აღინიშნოს პროტოკოლით და ეცნობოს ადგილობრივ საარჩევნო კომისიას და აგრეთვე ჩვენი პარტიის მთავარ სარჩევნო კომიტეტს თბილისში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველივე ზომები საარჩევნო მუშაობის შესახებ დეპეშებით უნდა აცნობოს პარტიის მთავარ კომიტეტს თბილისში. პროვინციაში მიმავალ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთ ევალებათ წასვლის წინ შემოიარონ პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტში. (ყოფილი თავად-აზნაურობის ქარვასლა. „საქართველოს“ რედაქციისა და მთავარი კომიტეტის ბინა).

**ეროვ.-დემოკრ. პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი.**

# კორესპონდენცია

## ქ. გ ო რ ი.

ქ. გორის თვითმართველობა კიდეც შეუდგა ხმოსანთა ახალ შემადგენლობის არჩევის საქმეს და საჭირო მუშაობა უკვე სწარმოებს. მთელი ქალაქი დაყოფილია ოთხ საარჩევნო უბნად და მოქალაქეთა აღწერა, რომელთაც აქვთ უფლება ხმის მიცემისა უკვე დასრულდა; მალე სიები გამოიკვრება; ყველას ექნება საშუალება მივიდეს და ნახოს თავისი გვარი ჩაწერილია, თუ არა; უკანასკნელ შემთხვევაში შეატანინოს სიაში თავისი გვარიც. საჭიროა ყველა ჩვენი თანამოაზრენი განიმსჭვალონ ამ არჩევნების სიდიადით ქალაქისათვის მნიშვნელობით; საჭიროა ყველა ჩვენ თანამოაზრემ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში რათა არც ერთი ხმა არ უნდა დავკარგოთ!

—

ამ წინაზედ ქ. გორში შესდგა საზოგადო კრება გორის მხარის სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრებისა; ამ კრებაზედ განხილულ იქმნა საკითხი მასწავლებელთა კავშირში დაშნაკელების მონაწილეობის მიღებასა და წევრობაზედ; ერთხმად დადგენილ იქმნა: ის პირნი, რომელნიც ეკუთვნოდნენ დაშნაკელთა პარტიას დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნენ კავშირიდან და ეთხოვოს სასკოლო მთავრობას ეს პირნი, როგორც მავნებელნი ჩვენი თავისუფლებისათვის, მასწავლებლობის ადგილიდანაც დათხოვნილ იქმნენ. პირველი ნახევარი ამ დადგენილებისა, ესე იგი დაშნაკელების კავშირიდან დათხოვნა, უკვე სისრულეში იქმნა მოყვანილი, მხოლოდ მეორე ნახევრის შესახებ თხოვნა სასკოლო მთავრობას გაეგზავნა.

—

ბოლო დროს ქ. გორში ხშირად იმართება წარმოდგენები და ყველა საქველმოქმედო მიზნით; საზოგადოება ბლომად ესწრობა მხოლოდ წარმოდგენების მართველნი უნდა ეცადნონ გაამართლონ ეს საზოგადოების გულკეთილობა ამისთვის კი საჭიროა ორგანიზაციის შექმნა, რაც აუცილებელი საჭიროებაა.

—

გორში დადის ხმები: გორის თვითმართველობამ იყიდა შენობა, რომელიც მდებარეობს სასულიერო სასწავლებლის და მტკვრის შუაო და რომლის მოწყობაც თეატრათ აქვს განზრახულიო. ღმერთმა ჰქნას რომ ეს ხმები სავსებით გამართლდნენ; ამით გორი ეღირსება ერთ-ერთი სანატრელ საგანს, საკუთარ თეატრს, ეს ალბად ხელს შეუწყობს დრამატიულ წრის დაარსებას, რაც აქნამდინ, მიუხედავად მრავალ ცდისა და დიდ სურვილებისა, ვერ ხერხდებოდა.

ყველა სასწავლებლებში განახლდა სწავლა - მეცადინეობა; სოფლებიდან ჩამოვიდნენ მოსწავლენი; ამასთანავე განაახლა მოქმედება მოწაფეთა კავშირმა.

**ხოხო.**

—

## წერილი ახალციხიდან

თვე ნახევარია, რაც რომ დიდი ძალი ლტოლვილობა აწყდება ახალციხეს და მრავალ მათგანს ორ-სამ კვირობით უხდებათ აქ დარჩენა. სადგომი ბინები არ ჰყოფნით ცივს ყინვიან ზამთარში ბევრს კარში ცის ქვეშ უხდება ღამეების თევა. დიდხნობით მათ დარჩენას ამიზეზებს ხარურმის უშოვნელობა. თუმცა კომიტეტი დიდ ქირებსაც იძლევა ჯავახეთში მათ წასაყვანად, მარა მაინც შეუძლებელი ხდება. ასეთ ძნელ პირობებში კომიტეტმა შესძლო 7-8 ათას ლტოლვილთა გადაყვანა და კიდევ 4 ათასამდეა დარჩენილი გადასაყვანად, მათ შორის ათასამდე ქართველი ლტოლვილი არის, დანარჩენი სომხები. უბინაობასთან ლტოლვილები დიდ სიმშილსაც იტანენ, რადგანაც კომიტეტი მათთვის საყოფს საჭმელს ვერა ჰპოულობს. ლტოლვილთ სიმშილი დააჩნდათ უკანასკნელ ხანებში. ქართველ-სომეხთა კომიტეტები შეერთდენ ცენტრალ კომიტეტად, საქმის გასაუმჯობესებლად შეერთებამ უფრო გაამნელა სურსათ-სანოვაგის შოვნა. მანამ ქართველი კომიტეტი ცალკედ ეხმარებოდა ქართველ ლტოლვილებს, იმდენი პურისა და ქართოფილის შოვნის საქმე ჩინებულად მიდიოდა, კვირაში 4-5 დღეს პურის შოვნა ადვილად ხერხდებოდა და 2 დღეს კი ქართოფილით კვებავდენ და რაც სომხებს შეუერთეს ქართველი კომიტეტი, ათი დღის განმავლობაში პური ერთხელაც კი ველარ იშოვეს და კართოფილი ხომ ორი დღე აჭამეს, დანარჩენ დღეებსაც კი ქართოფილიც მიაკლეს და ამ ნაირად ათ დღის განმავლობაში, სრულ 8 დღეს — არც პუ
და არც კარტოფილი
და ლობიოს შეჭამადს ცარიელას
მევდენ. ქართველთა სურსათ სანო
გის გამგემ კ. გ—მ ითხოვა სა
ნისტროს რწმუნებულისაგან ნება, რ
უწინდულებ შესდგომოდა პურისა
კართოფილის შოვნას, ვინაიდან ც
ტრალ კომიტეტის ხელში ლტოლ
ლები დიდ სიმშილს განიცდიან, მ
თლაც მეორე დღეს, გ—მ კართო
ლი მიაწოდა ქართველ ლტოლვი
და შემდეგ წავიდა სოფლად კარ
ფილის საშოვნელად. ამასთანავე
და ავღნიშნოთ, გადამდები ს
გავრცელება ლტოლვილთა შორ
რისაგანაც ბევრი იხოცება.

ლტოლვილებმა თავიანთი სენი
ლაქსაც მოსდეს.

აუცილებელ საჭიროებას მოითხ
ცენტრალ კომიტეტმა რაც შეიძლ
ჩქარა გადიყვანოს ლტოლვილ
ლტოლვილებში ათასი გადამდები
ნია გავრცელებული.

ერთ დღეს, 29 სომეხი ლტოლვ
მოკვდა და 3—4 ქართველი და
დღე არ გავა, რომ რამდენიმე
კვდებოდეს. თუ კი მადლს საქმეს
დის ცენტრალ კომიტეტი, მარი
თან მოაყაროს და დღემდე სიკვდ
გადარჩენილნი, მაინც მიიყვანოს
ვის კერამდე მშვიდობიანად.

ქართველ ლტოლვილთა კომიტე
დიდი სამსახური მიუძღვით თავიდ
დეკ. დიმიტრი ხახუტაშვილს, მა
ნიკოლოზის ასულს მუსხელაშვი
ექიმს ივანე ასათიანს, კონსტ. გვ
მაძეს და სხვათა, რომელნიც დილი
საღამომდისინ ცენტრალ კომიტე
შექმნამდე სულ ლტოლვილებს თ
დასტრიალებდნენ.

**მოკეთ**

# თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს
ვრონსკის ბენეფისია შულგინას და
მონაწილეობით „თაისი“.

**„ტარტო“-ს დრამა.** ოთხშაბათს,
იანვარს—„ჩვენი უბნის კომისარი“
შაბათს 25 იანვარს—„დანი კედ
ვები“. მზადდება დასადგმელად
რლზ დიკკენსის „დავით კოპპერ
ლიდი“.

**„მსახიობის ბავშვის დღე“**
თეატრ „მინიატურში“ ბ. მეშჩერ
მონაწილეობით იმართება წარმოდ
ნა კონცერტი ღარიბ მსახიობთა
შვების სასარგებლოდ.

რედაქტორი **გერონტი ქიქო**

დ ი დ უ ბ ე შ ი
იყიდება სახლი
პირობების გაგება შეიძლება ავლაბ
ში როხოვის მოედანი მახათის შ
ვევი № 22.
1—2032

სამშაბათს, 21 იანვარს, დილის 10 საათიდან საბურთალოში მე-2 საა
ლერიო ბრიგადის ყაზარმებში
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება დაწუნებული ცხენები.
2—2027

გამოვიდა ქართულ ენაზე
„ახალი კანონები მუშათა დაზღვევის და უზრუნველ
ყოფისა ავადმყოფობის დროს“.
იყიდება შრომის სამინისტროს კანცელარიაში და ჰღირს ორი მანეთი
5—2021

ფინანსთა სამინისტროსაგან
ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პრ ტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლ დით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).
ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებად: 5 1,000, 500, 100 და 25 მან.
თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მა 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.
აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავის ლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.
ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფა და აგრეთვე საწინდრათაც.
ვალდებულების შეძენა შეიძლება
მ ხ ო ლ ო დ ნ ა ღ დ ფ უ ლ ა
ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპ ვებში.
10—94

ქართულ დრამატიულ სტუდიაში
განახლებულია მიღება ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა (განსაკუთრებით ინტე ტებისა). ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 11-დან 2 საათამდე ქართული ბის სცენაზე.
სტუდიის ხელმძღვანელი გ. ჯაბადარი. ✦ ადმინისტრატორი მ. ხერხეუ
(6—92

სტამბა „...“ ... შესახვევი № 1.